აბაშა-ტეხურას დამშრობი მასივის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

9 ოქტომბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამეგრელოში აბაშა-ტეხურას დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირში მცენარეებისა და ნატანი მასისგან 5 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური არხი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის. შედეგად, მუნიციპალიტეტში 120 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

სადრენაჟე სისტემაზე გაწმენდითი სამუშაოები ნოემბერის ბოლოს დასრულდება.

ხაშურში სარწყავი არხების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

11 ოქტომბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს.

შიდა ქართლში წყალუზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, ტაშისკარის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს.

ქ.ხაშურის ტერიტორიაზე მცენარეებისა და შლამისგან 8 კილომეტრი სიგრძის წყალგამანაწილებელი არხი იწმინდება.

ექსპლუატაციის პროგრამით ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც 150 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს.

აღდგენილი საირიგაციო არხის მეშვეობით ქ.ხაშურისა და 4 სოფლის (ცხრამუხა, ოსიაური, აგარები, გომი) მოსახლეობა ისარგებლებს.

სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს მიმდინარე თვის ბოლოსთვის დასრულდება.

თიქორი-ენგურის დამშრობი მასივის გაწმენდითი სამუშაოები

19 ნოემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

სარემონტო-საექსპლუატაციო ღონისძიებები თიქორი-ენგურის დამშრობ მასივზე მიმდინარეობს.

სოფელ დიდ ნეძში ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან, ჯამში, 2,6 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული არხები იწმინდება. ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის.

შედეგად, 70 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება, რაც უხვი და ხარისხიანი მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთრი ძალებით ახორციელებს თვის ბოლოს დასრულდება.

0114, საქართველო, თბილისი, ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი, N1. საინფორმაციო სამსახური: 2 001000 ელ-ფოსტა info@ag.ge WWW.AG.GE

სამელიორაციო სამუშაოები სიღნაღის მუნიციპალიტეტში

21 ნოემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს.

ქალაქ წნორის ტერიტორიაზე, ბოდბისხევის კოლექტორის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს.

დანალექი გრუნტისა და ხე-მცენარეებისგან 1000 მეტრი სიგრძის მონაკვეთი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები სიღნაღის მუნიციპალიტეტში 70 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე საირიგაციო მომსახურებასთან ერთად, 160 ჰექტარ სატბორე მეურნეობისთვის წყლის მიწოდების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

საქართველოს მელიორაციამ სამუშაოები საკუთარი ძალებით მიმდინარე თვეში დაიწყო და დეკემბრის ბოლოს დასრულდება.

ლაგოდეხის სარწყავ არხზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

23 დეკემბერი

საქართველოს მელიორაცია სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს ქვეყნის მასშტაბით აქტიურად განაგრძობს.

ქალაქ ლაგოდეხში, მაგისტრალური სარწყავი არხის დაახლოებით 1,1 კილომეტრიანი მონაკვეთი რკინაბეტონით მოპირკეთდა, მოეწყო ჩამქრობი ჭები, აშენდა საფეხმავლო და საავტომობილო ხიდები.

აღნიშნული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს.

შედეგად, დაახლოებით 370 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე წყალუზრუნველყოფის გაუმჯობესებასთან ერთად, არხის მიმდებარედ არსებული საკარმიდამო ეზოების დატბორვის საშიშროება აღარ იარსებებს.

სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

საირიგაციო არხზე შესრულებული სამუშაოები საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა თამაზ მღებრიშვილმა რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

აღსანიშნავია, რომ, ამ ეტაპზე, ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო 50 პროექტი მიმდინარეობს.